

2010/2011 სასწავლო წლიდან IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი გადადის კომპიუტერული ტესტირების სისტემაზე. ს უნივერსიტეტში დამუშავებული ტესტირების კომპიუტერული პროგრამა (ალფატესტი) საშუალებას იძლევა, შემოწმდეს არა მარტო მარტივი საკითხების მექანიკური ცოდნა, არამედ, რთული საკითხებისა და ამოცანების გადაწყვეტის უნარი.

კომპიუტერულ ტესტირებას აქვს რიგი უპირატესობისა, მათ შორის:

იგი მნიშვნელოვნად აიოლებს პროფესორის შრომას. პროფესორის სამუშაო ძირითადი მოიცავს კითხვების და ამოცანების შედგენას, მათი სირთულის დადგენას და ამ ნიშნით დაჯგუფებას. დანარჩენ სამუშაოს, ტესტის საკითხების შერჩევას, პასუხების სისწორის დადგენასა და სტუდენტის ნამუშევრის შეფასებას ასრულებს კომპიუტერული პროგრამა.

ტესტირებისათვის სტუდენტს ეძლევა შეზღუდული დრო. შედეგად, სტუდენტი კონცენტრირებულია ტესტის საკითხებზე და დრო არ რჩება შპარგალკისთვის.

ტესტირების კომპიუტერული პროგრამა თვითონ ურჩევს სტუდენტს კითხვებსა და ამოცანებს, ფაქტობრივად - ინდივიდუალურ ტესტს. ეს გამორიცხავს სხვისი ნამუშევრებით სარგებლობას.

ტესტირება ტარდება სწრაფად, ორგანიზებულად, ეფექტიანად და ობიექტურად.

კომპიუტერული ტესტირების სისტემაზე ოპერატიულად გადასასვლელად ყველა პროფესორმა უკვე მიმდინარე სემესტრში, შუალედური გამოცდების დასრულებამდე საგამოცდო ცენტრში უნდა წარმოადგინოს საგამოცდო ტესტის მასალა (ელექტრონული ვერსია) თავის საგანში - არანაკლებ 60 საკითხისა.

ტესტი, სირთულის მიხედვით, უნდა შეიცავდეს საკითხების 3 ჯგუფს:

მარტივი - ფაქტობრივი მასალის, ცნებათა განმარტებების ან ტერმინების ცოდნის შესამოწმებლად: თითოეულ კითხვას აქვს 4-6 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. ამ სირთულის კითხვები უნდა შეადგენდეს მთელი ტესტის 40%;

რთული - ცალკეული საკითხების ცოდნის სრულყოფილების დასადგენად: თითოეულ კითხვას აქვს 4-6 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან სწორია ნებისმიერი რაოდენობის პასუხი ან არცერთი არ არის სწორი. ამ სირთულის კითხვები უნდა შეადგენდეს მთელი ტესტის 40%;

ტესტური ამოცანა - სასწავლო თემებისა და მოცულობითი საკითხების ცოდნის სრულყოფილების დასადგენად: თითოეულ ამოცანას აქვს მოცემულობა. მოცემულობაზე დასმულია ორი, სამი ან მეტი შეკითხვა. თითოეულ შეკითხვას აქვს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან სწორია ნებისმიერი რაოდენობის პასუხი ან არცერთი არ არის სწორი. ამ სირთულის კითხვები უნდა შეადგენდეს მთელი ტესტის 20%;

IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის კომპიუტერული ტესტირების პროგრამა საშუალებას იძლევა კითხვებთან და ამოცანის მოცემულობის ტექსტთან ერთად გამოყენებულ იქნას სურათის, აუდიო ან ვიდეო (.avi გაფართოების) ფაილი. პასუხის დროს სწორი პასუხის მონიშვნის გარდა შესაძლებელია შესაბამის ადგილას ჩაიწეროს გამოტოვებული სიტყვა ან ფრაზა.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

ზ. მუნჯიშვილს, ტესტირების კომპიუტერული პროგრამის ავტორს ან გ. ხომერიკს.

საკონტაქტო ინფორმაცია: აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, მე-3 სართული, აუდი. C-1
gogihom@hotmail.com 899 907 991